

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რადიკის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე  
მცნოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвъ“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

# დროების

ბამონის ყოველ - დღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სწრაფად  
8 კ.; პირველზე 16 კ. სრული უანასკელი გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50კ. რედაქციაშივე  
ნებისა ითვლება მათგან რედაქციაშივე კვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროა მოათხოვოს რედაქცია გასწორების და შეამოა-  
ლებს დასასტყობად გამოკვეთულ წერილებს. დაუბრუნდეს წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტომატად.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## „დროების“ ფასი ივნისის პირველიდან წლის დაბლოვებამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებლობითა- თვის 4 მანათი და 50 კაპ.

### უმნიშვნელო დაჯიღარება.

თბილისი, ივნისის 12-ს.

მეტად ძიმი და გულს-სევდის მომგე-  
რელი შთაბეჭდილება გამოგაქვთ იმ  
პოლემიკიდან, რომელიც ჩვენის გა-  
ზეთის ფურცლებზე ასტება **თელავის**  
**ინტელიგენციამ** და რომლის დასრუ-  
ლებას არც ერთი მხარე არ იფიქრებ-  
და, თუ რედაქციას თავისი «ვეტო»  
არ დაედო და ერთისა და მეორეს-  
თვისაც არ ეთქვა: კმარა, გეყოფათ,  
თქვენ მაგ ერთმანეთის წყევით გუ-  
ლის-ჯავრსა ჰყრილობთ, მაგრამ მკი-  
თხველები აქ რა შუაში არიანო.

სამძიმოა და სამწუხარო ესეთი  
უმნიშვნელო დაჯიღარება, ესეთი ქა-  
რიზხალი ერთ ჯამს წყალში და მით  
უფრო სამძიმოა, რომ სწორედ ამ  
გვარივე ამბავი თითქმის საათის მენა-  
ნიშნის სისწორით ყოველ წელს გან-  
მეორდება ხოლმე რომელსამე ჩვენს  
მცირე მაზრის ქალაქში, თუ კი ამ  
ქალაქში ორი მანტ იმისთანა პირნი  
მოქმედობენ, რომელთაც ინტელი-  
გენციის წევრობა დაერქმიათ. რა  
მოხდა მართლა ისეთი, რომ ბევრად  
თუ ცოტად გონება-გახსნილ ყმაწვილ-  
კაცობის შორის, რომელსაც თავის  
სამშობლოს სამსახური განუზრახავს,  
საქირო გამხდარიყოს ამისთანა ცხარე  
ბაასი, რომლის დროსაც ერთმანეთს  
ალარ უზოგვენ არც სინიღის, არც  
პატიონების, არც მამულის-სიყვა-  
რულს, ერთის სიტყვით აღარასფერს,  
რაც უნდა შეადგენდეს ყმაწვილი კა-  
ცისთვისაც და მოხუცებულისთვისაც  
ხელ-შეუხებელს და შეურყვევლს  
წმიდა-წმიდათას? რა აქვს გასაყო-  
ფი მცირე რაზმს **თელავის** ახალ-გაზ-  
ღობისას, რომელიც მაგალითად უნდა  
იყოს მთელის იმ მხარისათვის ერთ-  
სულლობისა და ერთგულობისა, რომ  
ასე უწყალოდ სთითხნიან ერთმანეთს  
და არ ინდობენ ლაფში ამოსასერე-  
ლად?

ძნელია ამ კითხვებზე პასუხის მი-  
ცემა. ძნელია, ამიტომ რომ პასუხი  
არაფერს სასურველს წარმოადგენს:  
პატარა თელავში, პატარა ინტელი-  
გენციამ დააარსა პატარა დეპო, პატა-  
რა სკოლა, პატარა ბანკი და ოდნავ  
ჩასახული წიგნთ-საკითხავი,—და აი,  
ჯერედ არც ერთს ამ დაწესებულება-

თავანს შესამჩნევი ნაყოფი არ მოუ-  
ტანია და თელავის ინტელიგენცია-კი  
ორ ბანაკად გაიყო და მზა არის ყო-  
ველივე ეს დაწესებულება მიწაში ჩა-  
მარხოს, ოღონდ ან ერთი მხარის და  
ან მეორის თავ-მოყვარეობა დასულო-  
ქმნას. მრთი მხარე იძახის: სკოლას  
მანო როსტომაშვილის სახელი უნდა  
ერქვეს, თუ არა და სულ ნუ იქნე-  
ბაო; მეორე კი ამბობს, თუ მაგას  
წმ. მეთევანის სკოლა არ დავარქვით,  
ქვა-ქვავებდაც ნუღარ დარჩებოა. მრ-  
თი იძახის გამსესხებელ-შემნახველი  
ამხანაგობის აზრი ამას მოუვიდაო,  
მეორე უპასუხებს, თქვენ ცარიელი  
«აზრების» მეტი არა ხართ-რა და მე  
კი მარტო ერთი ვარ იმისთანა, რო-  
მელსაც შეუძლიან ყოველივე სასარ-  
გებლო საქმის განხორციელებაო.  
მრთის სიტყვით ჰკითხულობთ ამ  
ერცელს პოლემიკას და მხოლოდ  
ერთი აზრი გამოგაქვთ იქიდან: რომ  
არც ერთი მხარე არ არის არც უპა-  
ტიონო, არც უსინიღისო, არც ქურ-  
დი და არც ავაზაკი, მხოლოდ ორივე  
მხარეს ეტყობა უხასიათობა, პროვინ-  
ციალური საზოგადოების მითქმა-მო-  
თქმისა და კორიკანობის გავლენა.  
ორივე მხარე იმდენად გულგვითლია,  
რომ მზაა თავის ქვეყნის სამსახური-  
სათვის «რომაც გასწიოს, თავის ღა-  
რიბი ჯიბეც მოიქეკოს, მაგრამ თუ  
მის წერილმან თავმოყვარეობას შე-  
ენენ, მაშინ ძმა ძმას აღარ ინდობს,  
მეგობარი მეგობარს, ერთგული მუ-  
შაკი ერთგულ მუშაკს, ყველას ავი-  
წყდება საერთო საქმე, რომელიც ყო-  
ველ ჯამს და ყოველს წუთს უნდა  
სხვა საქმეებზედ პირველობდეს და  
უმთავრეს საქმედ ის მიჩნიათ—როს-  
ტომაშვილი გამოვა მტყუნნი, თუ «ნა-  
დიკრელიო».

ნუ თუ ესეთი მოვლენა ნორმა-  
ლური უნდა შეიქმნას? ნუ თუ მთელ-  
მა ჩვენმა დაწინაურებულმა საზოგა-  
დობამ არ უნდა იგრძნოს, რომ ეს-  
ლა ყველანი ხელი-ხელ ჩართულნი  
ერთგულად და ერთსულად უნდა მო-  
ქმედებდენ საზოგადო ასაარეზზედ და  
წერილმანი თავმოყვარეობა, შური,  
მტრობა, უბრალო კინკლაობაც კი  
განდევნილი უნდა იყოს ჩვენის ცხოვ-  
რების მიმდინარეობიდან?!

### შინაური ქიზიჩე

=== ამ ჟამად კეთდება აელაბრის  
გზა, რომელსაც სიციანოვის აღმართს  
ეძახიან. რიყიდან აღის ყაზარმის წინა  
ქუჩამდის. სიგანე იმოდენი ექნება,  
რომ ურემსა და ფაეტონს გავვლებდ  
და არც აღმართი იქნება ძნელი. მს  
გზა ორიოდ თვის შემდეგ მზად იქ-  
ნება.

=== ძაკასიის განყოფილება წყალ-  
ში დამხსნელ საზოგადოებისა აცხა-  
დებს «ძაკაშვი», რომ მისის 26-ს  
მუშაბილში და «იტალიის» ბაღებში  
გამართულ სახალხო სეირნობისაგან,  
შემოსულა სულ 1,026 მან. 90 კაპ.  
ამ ფულიდან დანახარჯის შემდეგ დარ-  
ჩენილა 170 მან. 70 კაპ.

=== სწორედ საკვირველი ამბავია,  
რომ გამოძცვარ პურს ფასი არ აკლ-  
დება. შემა სულ იაფია, ფქვილი იაფი,  
მოჯამაგირე იაფი, სახლის ქირა ნაკლებ-  
ში და პურს-კი რაც სიძვირის დროს ფა-  
სი დაედო, ისევე ისაა და ისევე ის? ტაქ-  
სას თითონა სდებენ შეფურნეები, თუ  
ქალაქი?

=== ძულაშიდამ გვეწერენ, რომ იქ  
ყველი საშინლად თურმე მძიმევა-  
რებს, სახლობა არ არის, რომ და-  
ზარანებული არ იყოს. შრიებს უსარ-  
გებლიათ ხალხის გაჭირვებით და ცრუ  
ექიმობას თურმე უწევენ გაჭირვე-  
ბულთ.

=== ღილი მარტვილის საზოგადოე-  
ბიდან გვაცნობებენ, რომ იქაური  
სოფლის მოხელები ძალიან უკანო-  
რად ექცევიან გლეხებს სახმეშიფო  
ბეგარის მოკრების დროს. ხშირად  
შუალამის დროსაც უცვივიან სახლში  
და აწიოკებენ ხარჯის თხოვნით. მოთ-  
მინებიდამ გამოსული გლეხი წინააღმ-  
დეგობას უწყევს მოხელეს და ეს შე-  
იქნება ხოლმეო მიზეზი ჩივილისა და  
დავი-დარაბისა.

=== სენაკის მაზრის სოფ. შენბიდან  
გვეწერენ, რომ იქ უპოვიან ქვევრში ში-  
რიმის ომიანობის დროინდელი სვირუ-  
ლი ღვინო. ამ ომიანობის დროს ყველა-  
ნი თურმე იხიზნებოდენ უშიშარს აღ-  
გილს და მათ შორის ერთი ვინმე ძინწუ-  
რაშვილიც გახიზნულა და ზემო-ხსე-  
ნებული ქვევრი ღვინით შინ დაუტოვე-  
ბია. ამ წლის მისის თვეში ძინწუ-  
რაშვილის შვილის-შვილს თავის მიწა  
აუხნავს და მაშინ უპოვინა ქვევრით  
ღვინო. თუმცა შირიმის ომიანობის  
დროინდამ ბევრმა წელიწადმა გაიარა,  
მაგრამ ღვინო ისე კარგად შენახულა,

რომ გვეგონებოდა შარშანდელი ღვი-  
ნობა (?).


=== პეტერბურგიდან გვეწერენ შემ-  
დეგს: «ქაუტის კონსერვატორიაში  
კავკასიელთაგანი მხოლოდ ერთი სწავ-  
ლობს სიმღერის არტიტულ ხელოვ-  
ნებას. მს არის ერთი ქუთაისელი ღა-  
რიბი ოჯახის შვილი ს. ჯ. მე ჩემის  
მხრით არასფერ ქებას არ ვიტყვი  
მაზედ, მხოლოდ მოვიყვან აქ, რო-  
გორც ნამდვილ ფაქტს, რომ მუსიკის  
კრიტიკოსმა მ. ივანოვმა, კაპელმეისტერ-  
მა იტალიურ ოპერისამ ბევნიანმა  
და არტიტებმა საიმპერატორო. თეა-  
ტრებისამ ძალიან მოიწონეს მისი ხმა  
და ბრწყინვალე მამავალი უქადეს, თუ  
ს. ჯ. ბეჯითად მოჰკიდებს ხელს მუ-  
სიკის შესწავლას.

არტიტკა ლეონოვას იმდენად მო-  
ეწონა მისი ხმა, რომ წინადადება  
მისცა ჯ.—ს მასთანაც ეარა სასწავ-  
ლებლად.

ამის გარდა მუთაისის საზოგადოე-  
ბას რამოდენიმეჯერ გაუგონია მისი  
ხმა იქაურ სცენაზე, და, როგორც  
მასხვავს, «შრომაშიც» ეწერა მისი  
ქება; აგრეთვე სომხებისაგან შევიტყე,  
რომ წარსული წლის დამლეც «ნორ-  
ღარა»-ში დიდი ქება წერებულა ჯ.—ზე.

მაგრამ სიღარიბე ს. ჯ. ძალიან  
უმლის ხელსა. მშობლებისგან სიღა-  
რიბის გამო არაფერი მოსდის; ასე  
რომ იგი იძულებული შეიქმნა ევა-  
ლობნა ხოლმე აქაურ სომხების ეკ-  
ლესიაში, თუმცა ძალიან კარგად იცის  
მან, რომ სომხურ საეკლესიო გალო-  
ბას ცუდი გავლენა ექნება მის სწავ-  
ლაზე (ჯ. სომეხია). სომხების ეკლე-  
სიის საქმეების მმართველობამ დაუ-  
ნიშნა მას თვეში მხოლოდ თხუთმე-  
ტი მანათი. სუყველას კარგად მოეხ-  
სენება, რომ ამ ფულით პეტერბურგ-  
ში შეუძლებელია ცხოვრება: თხუთ-  
მეტი მან. მარტო ოთახის ქირისთვის  
კმარა.

ბევრი გაჭირვება და ავადმყოფობა  
გამოიარა ამ ზამთარში ს. ჯ.; ქარ-  
თველი სტუდენტები რო არ ყოფი-  
ლიყვენ, ძნელად თუ გადაწვედა ზამ-  
თარს. მრთმა ქართველმა სტუდენტმა  
(ქ—შვილმა) მისცა ბინა მას თავის  
ოთახში, და ამითი გადაარჩინა ოთა-  
ხის ქირის ძღვევას. სომხები?.. იგინი  
ეტყობა არაფრად ავდებენ ს. ჯ. მუ-  
სიკალურს ნიქს და ხმის სიმშვენიერ-  
ეს. მორემ თუ აფასებდენ მაშინ  
თბილისიდან არ მოიყვანდენ დიაკვნებს,  
არაბლავებდენ პეტერბურგის სომხის  
ეკლესიაში და ს. ჯ. მეტს ჯამაგირს  
დაუნიშნავდენ. ამასთანავე უნდა მო-  
გახსენოთ აგრეთვე, რომ ეკლესია ამ-  
ლეც შემწეობას სომეხ ღარიბ სტუ-



დენტებს და მოსწავლეებს, როგორც სტიპენდიას, არა ნაკლებ ოც-და-ხუთ მანათისა თვეში. მასაკვირველია, სწორედ, რისთვის არ მიატყვევენ ღირსეულ ყურადღებას ს. ჯ.—ს, რომ არ დაიკარგოს მისი მშვენიერი ხმა და ნიქი?!

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ სომხურ რომელიმე გაზეთს ამის შესახებ ეთქვა ორიოდ სიტყვა და ჩაეგონებინა პეტერბურგის სომხებისათვის შემწეობა მიეცათ ჯ.—სთვის.

გაზეთის „კავკასუს“ სწორედ რაჭის მასწავლებელი, რომ ოსების სამს საზოგადოებაში—სამთარეთის, ჩასაკალის და ჯანთარისაში რკინის მდინები ამოუჩინათ. რაჭის ერთი მესწავლეები ქუთაისში ჩამოსულა, რომ შეადგინოს კამპანია ამ მდინების საწარმოებლად.

ამავე გაზეთის სწორედ ლენქორანიდამ, რომ იქ მსხვილი სექტორი მოსულა და ბევრი სოფლები დაუსრულებია. მაგ. ქილაჯის სოფლის საზოგადოების საქმეები სულ ერთიანად დაუსრულებია სექტორს და დათესილი ყანები მტკნარად გაუნადგურებია.

„ნოვოსტა“ გაზეთშია, რომ ამ დღეებში გამოემჯავრება პეტერბურგიდან კავკასიაში სამსჯედრო ინჟინერი ვ. ივანოვი კანაშიას და შავი-ხელის ნაპირების ნავთსაფურების დასახლებლად. ამბობენ, რომ ივანოვი კავკასიაში ორს თვეზე ნაკლებს არ დატოვებს. ივანოვის კავკასიაში წამოსვლას ვაჭრული მნიშვნელობაც აქვსო, რადგანაც ბათუმის სანავთო საზოგადოებაში, რომლის დირექტორადაც ის არის, მინდა ადგილობრივ გაიხსნოს ბათუმის გემების ნავთით დატვირთვის და დატვირთვის საქმე.

„მოსკოვის უწყებებში“ სწორია, რომ ტყიბულის რკინის გზის შტო ამ წლის დამლევს უნდა გათავდესო, მაგრამ რადგანაც საჭიროება მოითხოვს, რომ კავკასიის მთა-გრუნტზე დაპირდაპირი გზა მიდოდეს, ამისათვის პროექტს ადგენენ ტყიბულის გზა გაიყვანონ მამისანის ქედამდე, იქიდან მდინარე არდონზე დაატარონ და შეუერთონ როსტოვოვლადკავკასიის რკინის გზას; ამ ნაბიჯად ამიერ კავკასიის შეუერთდება ჩრდილოეთ კავკასიას.

### „დროების“ კორმასონდენცია

**შოთი**, ივნისის 7-ს. ამ თვის პირველიდამ დაიწყო ძლიერი წვიმები და გაგრძელდა შეუწყვეტლად 3 დღეს. წვიმები ხშირად მოდის შოთში, მაგრამ ამისთანა იშვიათად ყოფილა. რიონი გადმოვიდა თავის კიდეებიდან, ქუჩების გაყვანილი რუები აივსნენ და ქუჩებზედაც წყალმა გადმოიარა; სანამ რიონის კიდეზე დაშვას გააკეთებდენ, ამისთანა წვიმების დროს ეკლესიაში და ბაზარში ნაგებობები დაიარებოდნენ. რიონიდამ გადმოვიდენ თევზები და ქუჩების რუებში შემოვიდნენ. რომელ ქუჩაზედაც გაგებდნა, რუებს ესევოდა

დიდი და პატარა და იჭერდა კობრებს. პალეატომის ტბიდან გამომდინარე „კაპარპის“ თევზს პატვის არა სცემენ, — მაწყინარიაო.

**ივნისის 3-ს**, დღით 4 საათზე ზარის დამცემი ქუხილი მოისმა. შოთის აქუური მცხოვრების, მომელიადის სახლის ანლო, იქვე 2 საჯენზე, მესხ ფიცრული ლობის ბოძი ოთხად გაფიქრა და ელექტრიულ ძალას მიწა გაერბინა. მთელი შოთის დაბალი ხალხი ამ ხმამდე იმ ალავს სანახავად მოაწყდა: იწერენ პირფარას, აღიდებენ წმინდა ბიორგის: შოთის დიდი ემმაკი დედამწაში გაუძვრნიაო.

ამ წვიმამ შემდეგი ზარალი მოიტანა: რუები სილით ამოიხსნენ და მრავალს ალავს წყალი გაჩერდა. ამ გუბებში ათას ნაირი ნივთიერება იხრწნება, წყალი ყვითლდება და ამოდის საძაგელი მყრალი სუნის: უქვეყნულია ამას ავადმყოფობა მოჰყვება. რადგან ფოთი მდიდარია ხე-ტყით, არ იქნებოდა უადგილო, ფიცრით მოევოთ ქუჩებში ამოღებული რუები; მაშინ წყალი აღარ დაგუბდებია, და აღარ გაყვითლდება დახრწნილის ნივთიერებისაგან და სანამ ფიცარი წყალში გასძვდეს, აღარც ხშირად ამოქმენდა დასჭირდება. მოკენჭვა ხომ საშეილი-შეილო იქნება, მაგრამ სად არის; ნეტა ქვა იმდენი იყოს, ქუჩებში დააგონ და ტალახი და ქობები ააღდინონ გამყველ-გამომყვლად.

მეც ნახევარია, რაც შოთში ცირკის წარმოადგენა დღითაც არის და ღამითაც. წარმომადგენლებს ზარალი არა აქვთ-რა. ღროებით გაკეთებული დიდი სივრცის მქონე ფიცრული შენობა (2000 კაცი თავსდება) ხანდისხან აივსება ხოლმე მაყურებლებით. ბევრი სოფელიდანაც ჩამოდინან. სირკი გამართა ერთმა პარიელომ ფრანკოვმა ა. ი. შიურემ. ამ თვის 5-ს შოთის წარმომადგენელმა სთხოვა ბ. შიურეს ერთი წარმოდგენა ქალების სასწავლებლის სასარგებლოდ ყოფილიყო. უკანასკნელი დასთანხმდა მხოლოდ ნახევარ წმინდა შემოსავლის მიცემამდე. შოთელებმა ამ კეთილ საქმეს თანაგრძობა გაუწიეს. წელს მაინც ამ სასწავლებელს სხვადასხვა წყაროებიდან შემოაუვიდა ფული: — ქართული წარმოდგენიდან აღევრიდამ და ცირკიდან—სულ ათას მანათამდე.

### ყუხილი

**ინგლისი**. იმ დღიდან, რა დღესაც ინგლისის საქმეთა მართვა ხელთ იგდეს ტარიებმა, ამ დასის გაზეთები არწმუნებენ აღევლებულ საზოგადოებას, რომ ინგლისისა და რუსეთის შორის საქმე არ გამძაფრდება და ახალი სამინისტრო გაჰყვება ბლადსტონისაგან გაკვლეულს გზასაო. ბლადსტონის ლიბერალურ სამინისტროს დაცემა მოულოდნელი როდი იყო.

მინც ინგლისის საქმეთა ვითარებას თვალ-ყურს ადევნიდა ამ უკანასკნელ ხანებში, იგი უქვეყნლად უნდა მოლოდინობდა ბლადსტონის გადაყენებას. ბავისენოთ სუდანი, მგვიპტი, ლორდ როზბერის მისია ბერლინში და სრულიად კოლონიალური პოლიტიკა ბლადსტონისა. ბოლოდ ხანს თვით ბლადსტონმა იგრძნო, რომ იგი თითქმის ხელს უშლის კონტინენტის სახელმწიფოთა მორიგებას ინგლისთან და ერთხელ პალატის სხდომაზე განაცხადა, რომ მზად არის გადადგეს და მეთაურობა სხვა ღირსეულს გადასცეს. ღღეს აღსრულდა ეს, — ლიბერალებმა კონსერვატორებს დაუთმეს ასპარეზი. — ახლა მრავალი წვერი ლიბერალურ დასისა, რომელნიც ვერ დაესწრენ პალატის იმ სხდომაზე, სადაც გადაწყდა ბლადსტონის სამინისტროს ბედი, სადაც გააშვეს ბლადსტონის წინადადება და მით უარ-ჰყვეს თვით ლიბერალური სამინისტროც—ღღეს ეს წვერი დიდს უკმაყოფილებას აცხადებენ, მაგრამ გვიანდა: მეთაურობა ხელთ იპურეს ტარიების მეთაურებმა სალისბიურემ, ნორსკოტმა და ჩერჩილმა.

**იტალია**. ბლადსტონის სამინისტროს დაცემამ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რომის მმართველობაზე. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრის მანჩინის დიდი იმედი ჰქონდა ბლადსტონის სამინისტროსი, რომ ეს სამინისტრო დაეხმარებოდა მას და როგორმე გამოიხსნინა კოლონიალური პოლიტიკიდან, რომელშიაც ერთობ შესტოვა იტალიამაც მეროპის სხვა სახელმწიფოთა დავადან. იტალია ჰფიქრობდა რომ, რაკი ინგლისი გაიმარჯვებს სუდანში, თვით მისი კოლონიალური პოლიტიკის საქმეც წარმატებით წავიდოდა. მხლა ვაჰქრა ეს ფიქრი, ეს მოლოდინი. ტარიები (ახალი მმართველნი ინგლისისა) ვერაფრად თანაუგრძობდნენ იტალიას და აღვილი მოსალოდნელია, რომ ბლადსტონის გადაყენებას მანჩინის გადაყენებაც მიჰყვებოდნენ, (ეს მოხდა კიდევ), მით უფრო, რომ ამ სამინისტროსი უმაღლესი არიან იტალიაში. მთხი თვე მიდის, რაც იტალიის ჯარებს დაჭერილი აქვს მასოვა და ამ ადგილიდამ არც აქეთ და არც იქით აღარ იძვრიან. ჯარში საშინელი ავადმყოფობა გავრცელდა და ნახევარი წილი ჯარისა ძირს დასცა. მს გარემოება უმეტესად აღელვებს იტალიის საზოგადოებას.

**ალმოსავლეთის რუმელია**. ოსმალეთის მმართველობა დიდს დავიდარბაში ჩავდო ამ უკანასკნელ ხანებში სლავიანთა წვრიმან სახელმწიფოების მოთხოვნილებამ. შოთის მხრით სერბია თხოვლობს პორტისაგან, რომ ამან ლავამი აუდვას არნაუტების ავსაკთა ბრბოს, რომელიც მოსვენებას არ აძლევს სერბიის სოფელ-ქალაქებს, მეორეს მხრით კი ალმოსავლეთ რუმელიაში ამგვარი პროკლამაციები

გამოიციენ: «მეროპის სახელმწიფოთა — მიმართავს პროკლამაციები და გარეილებს — განგებ — დაუწყებულს ესეთი წეს-წყობილება ბლადსტონის ნახევარ-კუნძულზე. მათ ორად გაჰყვეს ჩვენი ქვეყანა, რომლის განთავისუფლებამ ამდენი მსხვერპლი შეიწირა; მოუხსავს მას მშვიდობიანობა, მხარი მისცეს ოსმალეთის მტარვალურს ბატონობას ჩვენზე და წაგვართვეს შეძლება წელი გავიმაგროთ პოლიტიკურად, თუეკონამიურად. მათ მხედრულად და პოლიტიკურად დაგვიქვემდებარეს ჩვენ ოსმალეთს, ბედ-ჭრული მაცდონია უმსხვერპლეს ბარბაროსულ მეუფებას. რამდენი ხანია, რაც ჩვენს ქვეყანაში თვით-მნიებლობით გაზვიადებული მოხელენი თავისუფლად დათარეზობდნენ, მტარვალდებენ, ცარცვენ, გლეჯენ ჩვენს მოძმე ბოლგარიელებს. მერც გაზეთის ცნობანი, ვერც სხვა-და სხვა სახალხო მიტინგები ზედ-მიწვენით ვერ გამოხატვენ სრულიად აწინდელ მდგომარეობის სურათს დაჩაგრულის მაცდონიისას. შოველიევი რაც ხდება მაცდონიაში, — მწარე დაცინება კაცურის ღირსებისა. მს არის, რომ ხელს უშლის ბოლგარიის ერს...»

### პასუხი

მოწალმართი დას თელავში.  
(იხ. „დროება“ № 108 და 109).  
(დასასრული \*)

**გ) გამსესხებულ-შემნახველი ამხანაგობა**  
«ამ ამხანაგობის დაარსება როსტომაში დას-კი არა, ბ. მახვილაძეს უნდა მიეწიროსო», ამბობს ნადიკრელი. ძალიან სცდებთ, ჩემო ბატონო, და აი რადა: სად იყავით მახვილაძე და თქვენ მაშინ, როდესაც მე, სრულიად უთქვენოდ და მოკლებული შემავალიანებელს სიტყვასაც კი, მარტოდ-მარტომ გავხსენი გამსესხებულ-შემნახველი ამხანაგობა აქვე, თელავის გვერდზე, სოფ. პურდღელაურში! ნამდვილად შემძლიან ვსთქვა, რომ თელავში აქამომდეც არ გაიხსნებოდა ეს ამხანაგობა, რომ იგივე ჯერ პურდღელაურში არ გამესხნა, რადგანაც თელავში გამსესხებულ-შემნახველის ამხანაგობის დაარსება პირდაპირ გამოწვეული იყო იმ საბუთებით, რომ ჯერჯერობით, ვიდრე სოფელში მკოდნე კაცები არ არიან, ყოველად შეუძლებელია იმ გვარ დაწესებულებათა წარმოება ხანგრძლივად, რომელნიც დაფუძნებულნი არიან აღმორჩევითს უფლებებზე და განმგებლობაზე. როდესაც პურდღელაურში შეეუდეგით მამგეობის და რჩევის აღმორჩევას, აღმოჩნდა, რომ მთელს 50 ამხანაგ შორის ჩემს გარდა არავინ იყო წიგნის მკოდნე. ამასთან მე შემძლო ჩასელო სოფელში მხოლოდ კვირა-დღეობით, მაშინ, როდესაც ამ

\*) იხილეთ „დროება“ № 122.

გვარი ამხანაგობა ითხოვს, რომ იგი ყოველ-დღე იყოს ღია. არ გასულა არი თვე ამხანაგობის დაარსებიდან, რომ მე თავიდან ბოლომდის დაინახე ის საფუძვლები, ურომლოდაც ყოველად შეუძლებელია ამ გვარ დაწესებულებათა მკვიდრად და დაუსრულებლად მსვლელობა სოფლებში. შმათავესი საფუძველი, რომელზედაც უნდა დამკვიდრდეს გამსესხებელ-შემნახელი ამხანაგობა არის ის, რომ იმ ადგილს, სადაც არსდება ამ გვარი ამხანაგობა, საზოგადოება ისე უნდა იყოს მომზადებული, რომ შეიძლება აღდგეს არჩევანი მოხდეს მასში ცხრა საბანკო საქმეების მკოდნე პირისა. თუ რომელიმე ადგილს აკლია ეს მხარე, წინააღმდეგ იტოდეთ, რომ იქ არასოდეს არ იხიერებს ამ გვარი ამხანაგობა და ეს მიზეზი უნდა ჩათვალოს უპირველეს მიზეზად იმისა, რომ უმეტეს სოფლებში ვერ ხერობენ ამ გვარნი დაწესებულებანი.

დაარსება პურდღელაურის ამხანაგობისა და ყველა შემთქმულის საქმეზე გამოცდა ჩემთვის ერთი იყო. სწორედ ამ დროიდან მომხივდა აზრში — დამეკეტა ეს ამხანაგობა პურდღელაურში, სადაც ყოველად შეუძლებელი იყო ჰქონოდა მას მკვიდრი მომავალი მოხსენებული მიზეზებისაგან და გამეხსნა თელავში, მთელის მაზრის ცენტრში, სადაც, რაც უნდა იყოს, იმდენი მკოდნე ხალხია, რომ შეიძლება არჩევანი მოახდინო საქირო კაცებისა, მაგრამ არა მხოლოდ თელავისათვის, როგორც იყო პურდღელაურში მარტო კურდღელაურელებისათვის, არამედ მთელის მაზრისათვის.

ზანზრახვა, წესდების შედგენა და ჩემის საკუთარის ხელით დაწერა, პირველი ხარჯისავე ჩემი ჯიბიდან მიცემა, ხელის მოწერის გამართვა, თხოვნის მირთმევა, სადაც ვერ არს, დათორების დამზადება, ამ გვარი ამხანაგების მნიშვნელობის ახსნა-განმარტება, თვითონ ფაქტიურად მისი გახსნა, პირველს წელიწადს ყოველის უსასყიდლოდ მისი საქმეების წარმოება და ამის სხეებისთვის შესწავლა, — ყოველი ეს იყო ჩემი დაუსრულებელი (იმ დროებში მე ვგვანდი იმ გვარს მუშაკს, რომელსაც ორიოდვე წამი თავისუფალი დრო არა მქონდა, რომ პური მეჭამა) შრომის შედეგი და თქვენ-კი აწერთ იმას, ვინც მხოლოდ იმისთანავე უბრალო და პასიური მიმყოლი იყო ამ დაწესებულებისა, როგორც ყოველი თქვენთაგანი. ღმერთს თქვენთვის სრულიად მოუკლია ის გამბედაობა და ის ძალა, რომელიც დაუხედავად ყველა გვარ დაბრკოლებათა, ყველაფერს სძლევეს, ყველაფერს საფუძველს აძლევს, რომ შემდეგში სხეებმაც, უფრო გაუბედაებმაც გაბედონ და საერთო წადილით აშენებულს საქმეს ხელი მიაწოდონ; თქვენთვის მხოლოდ ამ უკანასკნელთ ნიჭი მოუკლია ღმერთს და ისიც შურცბიერებით შეზავებული. ზანვარძლოთ. თქვენ მარბრალბით იმისთანა

ამხანაგების მიღებას და მათზედ ფულის ვაცემას, «რომელთაც არაერთა-რი საშუალება არა აქვთ» და ამბობთ: «ვინ მიიღო ამხანაგად ის ქალი (ნ. მ-სა უნდა ვიგულისხმოთ აქ), რომლის ავეჯიც ამ ცოტას ხანში ააწერინა პრისტავს გამგეობის წევრმა მაქავარიანმა? მინ მიიღო წვერად და ვინ ასესხა ფული იმ კაცს (აქ უნდა ვიგულისხმოთ მ. მ-ვი), რომლის ავეჯიც დაწოკა იმავე წევრმა მაქავარიანმა? მინ მიიღო წვერად და ვინ ასესხა ფული იმ პირს (აქ უნდა ვიგულისხმოთ პ. ნ-ლი) რომელსაც ახლა გამგეობა დაეძებს და ვერ გაუგია, რომელ მხრად ანუ გუბერნიამ?»

მაღლობას ეწირავ ამ შემთხვევაში თქვენს სიბნელებს, რომ სწორედ იმისთანა ფაქტები წარმოაყენეთ, სადაც მიწამდის თქვენი გასწორება ისეთივე ადვილია, როგორც ქარიშხლისათვის ბუმბულის დაძვრა. ნახეთ, მოწადმართენო, თელავის გამსესხებელ-შემნახელის ამხანაგობის დათორები და ამოკითხეთ თქვენი ქებული ბ. მახვილაძის საკუთარის ხელით ჩაწერილი: ნ. მ-სა, ბ. ნ-ძე და პ. ნ-ლი. მსენი მაშინ იყვნენ ამხანაგებად მიღებულინი, როდესაც ამხანაგობის მახვილი ებარა ბ. მახვილაძეს და მე კი 1884 წელსა, მკათათვის მ-სა და მარიამობის 24 თვესა (რომელ რიტხებშიაც იგინი მიღებულნი არიან ამხანაგებად) ვიყავი თბილისში და ლალის-ყურში, ასე რომ, როდესაც მოვედი, უთხარი კიდევ მახვილაძეს მათს უკანონოდ მიღებაზედ, რადგანაც ისინი ჩვენი მაზრის მუდმივი მცხოვრებლები არ იყვნენ. რაც შეეხება მ. მ-ვის მიღებას, მე იგი არასოდეს არ მიმიღია ამხანაგად (რადგანაც მე გამგეობის წევრი ვიყავი და ამხანაგებს-კი ირჩევს რჩევა), იგიც აგრეთვე იყო რჩევისგან მიღებული, როგორც ყველა თქვენთაგანი.

ხომ ხედავთ, თქვე ბნელეთელბო, რომ იმ ჯოჯოხეთის ნახვის მიზეზი, რომელიც თქვენ გინახეთ და რომელზედაც ერთს უშველებელს ურვა-სა იქმთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ნახული ჯოჯოხეთის მიზეზი მე გგონივართ, სრულიად მე არა ვარ, არამედ ის, ვისაც თქვენ ამხანაგობას დაარსებას აწერთ, თუმცა ჩემს მხრით ვიტყვი, რომ ყოველი ეს მახვილაძეს მოუვიდა უნებლიედ, გამოუცდელით და არა რომელიმე საქონ განზრახვით.

პი, კიდევ ერთი უშვირი სიცრუე თქვენი, ბ. ბნელეთელბო მესვეურო! თქვენ ამბობთ: «როგორც ერთმა წელმა განვლო სახლის დაუქირავებლად, ისე მეორეც შეიძლებოდა გავეტარებინა და ხარჯი თავიდან აგვეციდინაო, მაგრამ დაადა ბ. როსტომაშვილი კრებას, თუ არ ვადავიტანეთ, არ იქნებოდა და კრებამაც იმას დაუჯერაო». ხომ თქვენც კარგად მოგესხენებათ, რომ შარშანაც ჩვენი ამხანაგობა ხუთს თუმანს აძლევდა დევას იმ ერთს ბინძურ

ოთანში, რომელშიაც იდგა ამხანაგობის სტოლი და ამ წლისთვისაც სახლისათვის ისევ მხოლოდ ხუთს თუმანს ვითხოვდით, რაზედაც ნებაც დაგვართო საზოგადოებამ და თქვენ კი გაიძახით, რომ ქირა არ გვიძლევიაო. შემდეგ ბძანებთ: «კრებას დაადა ბ. როსტომაშვილი, რომ თუ ოც-და-ოთხი თუმანი არ დაგვინიშნით გამგეობის წევრებს, ჩვენ მუქთად ველარ ვიმუშავებთო და კრებამაც დაუნებნაო». მაშ რა გინდობდათ, მუქთაზობრბო! იაფი სესხიც, ფულის გამოზოგვაც სარგებლით, ამხანაგობის მოგებიდან — მოგებაც და მუდმივად მუქი შრომაც! პრთი წელიწადი ხომ მე ვიმუშავე და ერთი კაპიკიც არავისთვის მომიტოვნია, რატომ მეორე წელიწადს თქვენ არ გამობძანდით ასარგებლად მუქთად ქაჰან-წყვეტისათვის! ახლა, რომ ვითხოვდი, განა ჩემთვის ვითხოვდი? იქვე არ წარმოგიდგინეთ კაცი, რომლისათვისაც ვითხოვდი ოცს მანათს თვეში, რომ უმთავრეი საქმეები ბანკისა ამ კაცს შეესრულებინა და თქვენც დასთანხმდით, რადგანაც რა იყო აქ საწინააღმდეგო? მე თუმცა დავრჩი გამგეობის წევრად, ხომ ერთი კაპიკიც არ ამიღია იმ ოცი მანათიდან, არამედ ის იღებდა და ახლაც ის იღებს, ვინც დანიშნულია. რაც შეეხება თქვენს გოდებას, რომ ამდენი ხარჯი ძალიან დაასუსტეს ჩვენს ამხანაგობასაო, ტყუილი და უბრალო გოდებაა. ზამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა საგლახაო სახელი კი არ არის, რომ თხოვლობდეს რსებამე მოწყალებას; ეს იმისთანა დაწესებულებათა, რომელსაც მუდამ თარისი საკუთარი მონაგრით შეუძლონ ცხოვრება, თუ თქვენისთანა ცრუ-მხრუნველები ცოტა შორს ეყოლება მას...

ა) წიგნთ-საკითხავი.

«არც წიგნთ-საკითხავიაო, ამბობს ბ. ნადიკერელი, როსტომაშვილისაგან დაარსებულიო». «მოწადმართე დასის» ავტორი პირ-და-პირ იწერებოდა, რომ დებოც, სკოლაც, ბანკიც და წიგნთ-საკითხავიც დაფუძნებულნი, მამართულნი და ერთს კალაპოტში ჩამდგარნი არიანო. ერთი მომპტრო, მაგრამ სიკეთით შეგულიანებულის წრისაგანაო. სად იყო იქ მოხსენებუ-ლი კერძოდ ი. პ. როსტომაშვილი, როგორც დამფუძნებელი მოხსენებულ საზოგადო დაწესებულებათა? მაგრამ, რადგანაც თქვენ ამბობთ, რომ როსტომაშვილმა კი არა, არამედ მარდენ მოციორიძემ და სოსიკო მაქავარიანმა გახსენსო თელავის საზოგადო წიგნთ-საკითხავი, ამიტომ მე ფაქტიურად მსურს დაგიმტკიცოთ, რომ საზოგადო წიგნთ-საკითხავიც ჩემგნით იყო დაარსებული, დაახლოებითი მონაწილეობის მიღებით მ. სიციშვილისა, ზ. ჩხიკვაძისა და დ. შადაგიძისა.

თქვენ ბრძანებთ, რომ მარდენ მოციორიძემ და სოსიკო მაქავარიანმა განიზრახეს წიგნთ-საკითხავის დაარსება და სხვ. საქმე ვანზრახვა ხომ

არ არის! საქმე ის არის, როდესაც რომელიმე განზრახვის, სისრულეში მოიყვან, რაც უნდა დაბრკოლებადგებდეს წინ. თუ საქმე ეს არის, გულზე ხელი დაიდეთ და მიბრძანეთ: ვინ ითხოვა ნებართვა საზოგადო წიგნთ-საკითხავის გახსნისა კ. თელავში, ვინ ემუდარებოდა ყველას, რომ ამ თხოვნაზე ხელი მოეწერათ, ვინ გასწია პირველი ხარჯი (მართალია, მცირე, მაგრამ მაინც ხარჯია), ნებართვის მიღების შემდეგ ვინ მოახდინა შედიზედ რამდენიმე კრებები, რომლებზედაც წარდგენილ იქნა უკვე დამზადებული პროექტი თელავის საზოგადო წიგნთ-საკითხავისა, ვინ შეადგინა ეს პროექტი, ვინ ეცადა სიტყვით განემარტა წიგნთ-საკითხავის, მნიშვნელობა და საქიროება და დასასრულ—ვინ შესწირა ამ ახლად დაარსებულს წიგნთ-საკითხავს ყველაზედ უფრო მეტი წიგნები?

ვაზობ, ჩემს საქებლად კი არა, არამედ იმიტომ, რომ მაძალადებთ ამის თქმას: «როსტომაშვილმა და როსტომაშვილმა! ზანზრახულებათა საქმე არ არის; ღმერთიც ვერ ჩამოსთვლის იმ განზრახულებებს, რომელიც კაცს მოუვლის ხოლომე თავში, მაგრამ არა თუ ღმერთი, კაცი-კი ჩამოსთვლის იმ მაგალითებს, როდესაც რომელიმე განზრახულებას ადამიანი სისრულეში მოიყვანს, რადგანაც ამ გვარი ხასიათები და საქმეები იშვიათია ქვეყანაზედ და განსაკუთრებით ჩვენს საწყალობელს ცხოვრებაში. მაგრამ მარდენ მოციორიძეს და სოსიკო მაქავარიანს განზრახულება მაინც ჰქონიათ წიგნთ-საკითხავის დაარსებისა და თქვენ რაღა გქონდათ? მრთი პასუხი, რომელიც ყველამ იცის: განსაკუთრებული წინააღმდეგობა ამ ქვეყნისათვის აუცილებლად საქირო საქმეზე. პი იმიტო ხართ, თქვე საწყალობო, საწყაობი, რომ არც ეს მცირე ნიჭი დაუნათლებია თქვენთვის ბუნებას, მაგრამ რას ვამბობ? აქ ბუნება რა შუაშია, აქ თვითონ თქვენ შეადგენთ იმისთანა განმანზრწნილებელ წრეს, რომლის გავლენას რომ გავაღურჩეს კაცი, საქიროა ფრიალი ძალის-სხევე და ის თვით-განზრახვა, თვით-აღზრდა, რომელსაც სამწყურბროდ თქვენ სრულიად არ იცნობთ და არცა ცდილობთ, რომ გაიცნოთ!...

ვათავებ ჩემს პასუხს უმთავრეს ადგილებზედ, მაგრამ არ შემოძლიან დასასრულს ორიოდვე სიტყვა არა ვსთქვა იმ გვარს წერილებზედ, რომლის გვარიც ბ. ნადიკერელმა მიძღვნა მე. ამ წერილში არის სამი სიცრუით სავსე ადგილი, რომელიც საჯაროდ დაბეზლებად (доносомъ) ჩაითვლება. მს ადგილები გახლავთ შემდეგნი: ა) წიგნის საზოგადოებასაც ვარსებდა; ბ) «ის ოთახი როსტომაშვილს სდომებია თავის ბნელსა შინა მოქმედებისათვის» და გ) «მუშა ხალხი სხვა-და-სხვა ხელოვნების სახლში

იკრებოდენ და წიგნებს კითხულობდენ... მარტო ეს სამი წინადადება რომ ამომეწერა და მეტეკა ქვეყნისათვის: „აი, იცანით რა ხალხიც არის ეს მოწალმართე დასი თელავში, აი, რა იეზუიტურს და ურცხვს საშუალებას ხმარობს თვისი მოპირ-დაპირის წინააღმდეგ და სხვა...“ სრულიად საქმარისი იქნებოდა, რომ ყველას ნათლად დაენახა, თუ ვისთან გვექვს საქმე და როგორ შორს უნდა წიგნი მათგან—ლიდიც და სწორიც, მეგობარიც და მტერიც...

### ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“ ინგლისის 10-ს

**ლონდონი.** გლადსტონისას თათბირი მოხდა და გადაწყდა ორ დასთანხმდენ ღირად საღისბურისაგან გამოთხოვილს პირობებსე.

**მადრიდი.** ქუჩებში აჩუქებამოხდა; ჩამდენივე კაცნი დაიჭრა და რამი აკვდა.

**ბერლინი.** გამოცხადებულ იქმნა მარტის 7 გერმანიისა, ესპანისა და ინგლისის შორის შედგენილი პირობა, რომელიც აღიარებს ესპანის უმადლეს უფლებას სულს არქაპელაგსე. ესპანია ინგლისის სასარგებლოდ უარს-ყოფს თავის უფლებას ბონის ნაწილზე, რომელიც სულს ხუტანს საკუთრებას შეადგენს და იმ მხარესე, რომელიც ექვემდებარება ჩრდილოეთ-გარეოსის ბრიტანის გამგანიას. ვაჭრული წარმოების (ნავოსნობის) უფლება სულს არქაპელაგში ეკუთვნის სახელმწიფოსს ექვემდებარება.

ინგლისის 11-ს.

**პარიში.** გუჰან შეტანელ იქმნა პალატაში პირობა საფრანგეთისა და ჩინეთის შორის წავის დამყარებისა. პირობის მადით ჩინეთი სპილოლად ამტკიცებს საფრანგეთის უფლებას ანაშქედ. საფრანგეთი, საძვგეროდ, ჭკისრულბს ერთის თვის განმავლობაში ფარმოსადამა და პესკატარის კუნძულებადამ ჯარების გამოყვანას.

**ლონდონი.** პარლამენტის წრეებში დამეკითხებით ღაშარაკობენ, რომ კონსერვატორებისა და ლიბერალბს შუა თანხმობა ჩამოკარდნდა და საღისბურის ჭკისრულბს თანამდებობას მიღებას.

### ბირჟა

**ჰეტერბურგი** ინგლისის 10.  
100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — 24<sup>3/16</sup>, 24<sup>11/32</sup>, 24<sup>3/16</sup>  
100 მანათის კურსი სამის თვით ჰეტერბურგი — 206 206<sup>3/4</sup>, 206<sup>1/4</sup>  
100 მან. კურსი სამის თვით პარიზე — 255, 255<sup>3/4</sup>

**პოლიტიკური** ლავები — 8 მ. 16 გ. გაუ. ტრამონის კუპონები — 8 მ. 14 გ. გაუ. ვესტლის მანათი — 1 მ. 29 გ. გაუ. ბირჟის დისკონტი — 6 და 6<sup>3/4</sup>%  
5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — 99 მ. გაუ. მეორე გამოცემისა — 97<sup>3/4</sup> მ. გაუ. მესამე გამოცემისა — 97<sup>1/2</sup> მ. გაუ. მეოთხე გამოც. — 97<sup>1/4</sup> მ. გაუ. მეხუთე გამოც. — 97<sup>3/4</sup> მ. გაუ.  
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — 95 მ. 12 გ. გაუ. მეორე გამოც. — 94 მ. 62 გ. გაუ. მესამე გამოც. — 94 მ. 84 გ. გაუ.  
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — 224 მ. გაუ.  
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა — 209<sup>1/2</sup> მ. გაუ. ოქროს რენტი — 169<sup>1/2</sup> მ. გაუ. თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობა. ფურცლები — 27 წ. 89 მ. გაუ. 43 წ. 88<sup>1/2</sup> მ. გაუ.  
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. 18 წ. 91 მ. გაუ. 43 წ. 90 მ. გაუ.

### ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბნი ვერიშვილი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარემე მოსიარულე ავადმყოფთათვის დარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსავონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავთისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

### ამიგები:

**არსთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.  
**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.  
**გელია-ფარსალაგოვი,** ოთხშაბათობით და პარასკეობით.

### გაგმივი:

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით  
**გაგიგოვისა,** ორშაბათობით და პარასკეობით.  
**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.  
**ლოჟვისა,** ხუთშაბათობით და კვირაობით.

**სამკურნალოში,** რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაასესეს სასოკანად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებენ დიდის 8 საათიდან 12 საათამდინ.

უოკელ დლე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანი — 8 საათიდან 9 საათამდინ საბუბიო, საქაქებო და საბაქებო ავადმყოფობის; საწამლეზად ბენკლევი — 10—11 საათამდე — სახირგეო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბლისა და ყურის ტკივილის საწამლეზად; შტემბორსკი — 11—12 საათამდე სიფილისისა და სხულზე გამოყრალი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის;

კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 9—10 საათამდე ხირგეოული ავადმყოფობისათვის; ხამინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლეზად; კრასნოგლავი ორშაბათობით და შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლკონი კბლის ტკივილის საწამლეზად მიიღებს თავის სასღში უოკელთვის დარბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბანათი ექმნებათ.

### რკინის გზა

**ფოსტის მატარებელი მიდის თბილისიდან ბათუმისაკენ** 8 საათზე და 35 წამ. დილით.  
**ბათუმიდან თბილისში შემოდის** 10 საათ. 25 წამ. ღამით.  
**თბილისიდან ბაქოსკენ** 10 საათზე 55 წამზე ღამით.  
**ბაქოდამ თბილისში შემოდის** 8 საათ. დილით.  
**თბილისიდან სურამისაკენ** 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.  
**სურამიდან თბილისში შემოდის** 8 საათზედ 24 წამ. დილით.

### მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თბათვიდან 15 თბათვემდე 1885 წ.

**გამომცხვარი პური რუსეთის ფუქებისა** — 1 გირ. 5 გ.  
**ახურის ფუქებისა:** პირველის ხარისხისა — 1 გ. 2<sup>1/2</sup> გ.  
მეორისა — 1 გ. 2 გ.  
**ამავე ფუქებისა თორნეში გამომცხვარი:**  
პირველი ხარისხის — 1 გ. 4<sup>1/2</sup> გ.  
მეორისა — 1 გ. 3 გ.  
მესამისა — 1 გ. 2<sup>1/2</sup> გ.

**ჯვარის-მამის პური:**  
პირველის ხარისხის — 1 გ. 3 გ.  
მეორის ხარისხის — 1 გ. 3 გ.  
მესამისა — 1 გ. 3 გ.  
**ბრონის ხორცი:**  
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 გ.  
მეორისა — 1 გ. 7 გ.  
სუკი — 1 გ. 15 გ.  
ცხვრის ხორცი — 1 გ. 9 გ.  
**ღორის ხორცი:**  
პირველის ხარისხისა 1 გ.  
მეორისა — 1 გ.


### განცხადებანი

ღაბეკდა სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ახსნით: ლოცვები ათი მცნება და სიმგლო სარწმუნოებისა.

შედგენილი მღ. ნესტორ ყუბანეი-შვიდისგან. იყიდება ტფილისში — ჩარკიანის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში — ტელაქების მაღაზიაში და ორპირში — წიგნის შემდგენელის ბინაზე.

ინგლისის 10-ს, საღამოს 6 საათზე ევლბარში, ლხარვის ქუჩაზე, 7 ნაწილში მალანთაროვის სახლებიდან დაიკარგა ბავშვი, მალი, 4 წლისა, არტემ მალუსტოვის შვილი. შმაწვილი თავ და ფხვ შიშველი იყო, შავი თმა აქვს და შავ თვალ-წარბაა. ვაგფვის სახელი ანიხა.

**ყავა მოკვი**  
ს. სიუ და კო.  
(II. 2592). (46—17)

**საკლოუსო**  **კალმები**  
ტურნარისა და ახს.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქალღღუნად. მრთად ერთი საავენტო ინგლისის მაღაზია — არწრუნისეულს ქარვასლაშია. იქვეა თუთ თაბრიკილამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან საღმე, აგრეთვე მეღანი, ლაქი, ქალღლი, კანვერტები, ყარანღამები, რვეულები, კოპასები, ბუშაქნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოღონები), კლიონკები, სტაქები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკილნი, ნაქდაკი, პატარა ჯობები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შოტკები, პირსახოცები, ჯოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რვეოლვერები, სასტვენლები, გროფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საწები, ფიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან საღმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოყენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლოს № № 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—20)